კვირა, 9 იანვარი, 1911 წ. ფასი ყველგან 10 კაპ.

№ 2 სალიტერატურო ჟურნალი

წერილები და ფული გამოიგზავნება ამ ადრესით: Тифлисъ, Типографія „Т-ва „Шрома". Теофилу Ерастовичу Болквадзе.

სალამური

I

პიტალო თხემით წამონაქროლი
ნიავი, სოფელს თავს დასისინებს,
ჰანგათ ჩაწვნია ფიქრი ობოლი,
სევდას ღგალობს, სევდით ქვითინებს
ყინვით გათოშვილ მდელოთა შორის
მთის საიდუმლოს მიმოაქროლებს,
ტიალად ქმნილთა ყვავილთა ბუჩქებს
ცივათ ეხვევა... ჰკოცნის... აკრთოლებს.
ფრთაზე შეუსვამს ლტოლვათა რაში,
მიზანი შორით გაუტანია,
ის სუფევს იმის უცნაურ ხმაში,
მსოფლიო,—მისი კაეშანია.
იმ ჰანგში ისმის ღელვა სულისა,
ყურს ვუგდებ გრძნობით, საამურია.
მე, ბუნება ვარ თვით ბუნებაში,
ნიავი,—ჩემი სალამურია!..

II

აგერ მდინარეს ტალღა მოიგდო,
მზისა სხივებზე იწყო ციალი,
საძილის-პირო ტკბილ მელოდიათ
გაისმა ნელი დუდუნ შრიალი.
სალამი სტყორცნა ლილის კისკასსა,
გულში ჩაიწნა ბუნების ბგერა,
ცოცხალ სიმებზე გრძნობით გაკრთო
ლტოლვის მიზანი... ღელვის სიმღერა.

თან შეუპოვრად ზღვისკენ მიჰფრინავს,
მარად სცემს მასში სწრაფვის წყურვილი,
გულ-ზვიად ზღვასა ანდობს ხვაშიადს
მთით მოხეთქილი ბუნების შვილი.
მას მივდევ ფიქრით... ჰანგებსა ვიჭერ,
მსურს ვიქცე ტალღათ, ღელვა მწყურია,
მე ბუნება ვარ თვით ბუნებაში,
მდინარე — ჩემი სალამურია!

ნ. ჩხიკვაძე.



რედაქციისაგან.

დღეს, როდესაც ქართველ მკითხველთა რიცხვმა ერთი ორათ იმატა, დღევანდელ ჟურნალ-გაზეთებში ხშირათ ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებს ხედავს, მით იკვებება, მაგრამ არავითარი წარმოდგენა კი არა აქვს, სრულიად არ იცის ვინ არის ის, რა სახის ადამიანია, როგორ უცხოვრია. იცნობენ მხოლოთ ისეთ მსხვილ ერთეულებს, როგორც აკაკი, ილია, რაფიელ ერისთავი, ყაზბეგი, ნინოშვილი და სხვანი, რომელთა სურათებით ოთახებსაც კი იმშვენებენ. ამიტომ ჩვენ განვიზრახეთ დრო და დრო ვბეჭდოთ ჩვენ ჟურნალში ჩვენი **ახალგაზრდა მწერალთა სურათები, ბიოგრაფია და ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანი.**

ამისთვის საჭიროა თვით მწერლებმა მოგვაწოდონ ყველა ეს. ბიოგრაფიაში აღნიშნონ როდის დაიწყო წერა, რა დასწერა პირველათ და თუ შესაძლებელია თვით პირველი ნაწარმოებიც მოგვაწოდონ. ყველა ეს ადრე უნდა გამოგზავნოს რედაქციის აღრესზე: Тифлисъ, Типографія Шрома для „Саламури“.

გაუთავებელი ვიზიტები.

რაკი ერთხელ შევჯექ ჯორზე, ისე ამეშალა საღერღელი, რომ როგორც სჩანს ჩემს „ვიზიტებს“ ბოლო აღარ ექნება. ახალი წლით დავიწყე და უთუოდ **ახალი** წლით უნდა დავასრულო.

როგორც მოგახსენეთ სინოდალურ კანტორიდან ძალიან გაჯავრებული და გულნატკენი გამოვედი, თანაც დიდუბის მოედანზე ბ-ნმა ქებურიამ **ჩხუბი** ამიტეხა. იმ ზომამდე მიმიყვანა, რომ კინალამ საცემრათ მივიწე. აქაო და ჩემი აპარატი არ ვარგაო, დიდება შენ ღმერთო! მერე მე ვარ დამნაშავე, რომ მისი აპარატი არ ვარგა და ძირს ჩამოვარდა? შეიძინოს კარგი აპარატი და იფრინოს რამდენიც უნდა, ვინ უშლის? ავიკიდე ჩემი ფრთოსანი ზურგზე და ისე გაჯავრებული მივედი სახლში, რომ ერთი და მეორე კინაღამ მიბერტყე. ხმაც არ ამომიღია, არც ლუკმა ჩამიდვია პირში, ისე ჩავწექი ლოგინში და თუმცა ორი სამი საათი შამფურზე წამოგებულ შესაწვავ გოჭივით ვიტრიალე ლოგინში, მაგრამ ბოლოს მაინც მაგრათ ჩამეძინა და მეორე დღეს დილის ათ საათზე გამოვაჭყიტე თვალები. არ ვიცი მეტის მეტი სიბრძნით მომდის თუ სიცეტით, თუ რამე ამოვიჩემე, გული ისეთ ნაირათ დამიწყებს ცუნცრუკს, რომ მისი დაყუჩება ყოველად შეუძლებელია, თუ არ ავისრულე სურვილი უნდა მოვკვდე. გავაჭყიტე თუ არა თვალი პირველი ჩემი აზრი იყო ჩემი ფრთოსანი და ვიზიტები, ამ ერთმა აზრმა თავიდან ფეხებამდე შემბოჭა. დამავიწყდა ყველაფერი, გუშინდელი ვიზიტები, ქებურიასთან ჩხუბი, ოჯახში აყალ-მაყალი და ისე საშინლათ მომინდა გაფრენა, რომ ვეღარ მოვითმინე, წამოვარდი ზეზე, ტანისამოსი კი გადავიცვი, არც პირი დამიბანია, გამოვვარდი გარეთ, შევახტი ჩემ ფრთოსანს ერთი დავარახრახე და ჰაერში დავიწყე პროწიალი. კარგა მაღლა ვიყავი ასული, მომგონდა, რომ მარშრუტი არ მქონდა შედგენილი. ცოტა ხანს დავფიქრდი, შუბლზე თითი მივიდე, გაოცების ნიშნათ ერთი შევჰყვირე, რომ ამდენ ხანს ვიზიტი არ გავუკეთე

სახალხო სახლს და თვალის დახამხამებაში თავდაყირა დავეშვი კიბეზე არ ვიცი წინდაწინვე გაფრთხილებული იყვენ, თუ ისე უცბათ გაიგეს ჩემი მისვლა, ფიცხლავ კარებში გამომეგებენ სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრნი. ყველას საკინძე ჩამოეგლიჯათ, თავზე ნაცარი დაეყარათ და გულსაკლავი ხმით ზმუოდენ. გავშეშდი, გავშრი, ტანში ჟრუანტელმა დამიარა, ენა ჩამივარდა. აღარ ვიცოდი რა მეთქვა. ასეთი საზარელი სანახაობა

სიზმარშიაც არ მომელანდებოდა. დამავიწყდა მილოცვაც და ყველაფერი. ბარემ ძალიან გულით მინდოდა უკან გამობრუნება, მაგრამ გვიანღა იყო. ერთმა მათგანმა შემატყო, რომ სახტათ დავრჩი და ვერ გავიგე მათი სიმწუხარის მიზეზი, ხელი მომკიდა და დიდ დარბაზში შემიყვანა.

— ბატონო, ბურნუთო, როგორც გატყობ ვერ მიმხვდარხარ ჩვენს მწუხარებას, არც გასაკვირია, აი ხომ ხედავთ იმ დიდრონ ქილებს?

მიმოვიხედე და გავშტერდი. დარბაზში ვებერთელა, ოც კოკიანი ქილები დაედგათ, და რამდენიმე კაცი ასხამდა შიგ ძმარს, ზოგი მარილს ყრიდა. ისე გაცხარებით მუშაობდენ რომ სულ ხვითქი გადასდიოდათ.

გოცების ნიშნათ პირი დავაღე, კითხვაც ვეღარ მოვახერხე.

ჩემმა მოსაუბრემ შემატყო და დამასწრო:

— ბატონო ბურნუთო! აი ამ ქილებში დღეს უნდა დავამჟაოთ ჩვენი სკოლები და მასწავლებლები. ფულები შემოგველია, ვერავითარი საშუალება ვერ გვიპოვნია, და ვამჟავებთ სკოლებსაც და მასწავლებლებსაც რომ არ წაგვიხთენ და შემდეგისთვის გამოვიყენოთო. ამ დროს შემოვიდა რამდენიმე კაცი შემოიტანეს ერთი დიდი „უჩიტელი“ და თავდაყირა ჩაუძახეს ქილაში. გული კინაღამ შემიღონდა ამის დანახვაზე, თვალებზე ცრემლები მომადგა ვეღარ გავძელ და გამოვედი გარეთ. ისე დარეტიანებული ვიყავი, რომ შეიძლება მთვრალიც კი ვეგონე როსტომ ივანეშვილს, როცა მის

—

გზეთ „სინათლე“-ს კარებთან ჩამოვფრინდი. ჯერ მიწაზე არ გადმომედგა ფეხი, რომ უეცდოთ გამოვარდა ვიღაც პატარა ტანის კაცი, სახე გაბრწყინებული მომვარდა და გადამეხვია

— ავანთე, ბატონო ბურნუთო, ავანთე. განათლდა მთელი საქართველო. ზეციური „სინათლე“ მოვფინე უბადრუკსა საქართველოსა. აღარ დამალაპარაკა, მტაცა ხელი და სახლში შემიყვანა

ოთახის შუა ცეცხლი გუზგუზებდა, ზედ ვებერთელა ქვაბი შეედგათ. გარს შემორტყმოდა რა მოდენიმე ახალგაზრდა და ურევდენ დიდრონ კოვზებით რაღაც სითხეს. როსტომ ივანეშვილმა, ასე ეძახდენ პატარა კაცს, რომელიც კარებში გამომეგება, ერთ მათგანს ხელიდან კოვზი გამოსტაცა, ერთი ძალზე მოურია ქვაბს და სიხარულით შემომძახა:

— აი, ბატონო ბურნუთო, ის სითხე, რომლითაც გვინდა აყაღონრძინოთ მთელი საქართველო და „სინათლე“ მოვფინოთ ყველაფერს, დიახ ეს არის ეს.

ფრიად ნასიამოვნები გავშორდი საქართველოს „ორკაპეკიან“ განმანათლებლებს და დიდის სიფრთხილით მივადექი კარებზე

—

ბელგიის უსახელო საზოგადოების ტრამვაის კანტორას. ჩემი ჰაეროპლანი იქვე ღობეზე ჩამოვაბი, გამტვერიანებული ტანისამოსი გავიბერტყე და ნელ-ნელა შევყევი კიბეზე. ვიცოდი ინჟინერი ბელოი მეტათ ზრდილი კაცი იყო და ყოველივე ეთიკის სასტიკი მიდევარი, ამიტომ წინდაწინვე გავემზადე არ შევრცხვენილიყავ და შესაფერათ მიმელოცნა. რაც რომ ქათინაურები და საალერსო სიტყვები ვიცოდი ყველა გავიმეორე. ერთი მაგრათ ჩავახველე, გულის გასაკეთებლათ და შევაღე კარები.

— რა�ა... პოოო... რტიიი...

უცბათ გაისმა, მწყობრათ, გაბმით გუგუნის ხმა

ინჟინერ ბელოის თავის კაბინეთში სამაგალითო სკოლა გაეხსნა. პატარა მოსწავლეების მაგიერ, მის წინ სკამებზე წვერიანი კანტრალიორები ისხდენ და იზეპირებდენ ბელოის ნათქვამ სიტყვებს.

ბელოიმ თითი აიქნია და ისევ გაისმა გაბმული ხმა.

— რააა... პოოო.. რტიიი...

— აბა თავბუაძე გაიმეორე! უბრძანა ბელოიმ ერთ ხმელ-ხმელ კანტრალიორს. ის შეშინებული წამოდგა და წამოიძახა:

— ლაპორტი!

— დაეგდე! არ იცი! გაუჯავრდა ბელოი. შერცხვენილი კანტრალიორი გაწითლდა და ჩაჯდა.

— აბა შენა სთქვი კენჭიყლაპიაშვილო! ეუბრძანა ბელოიმ მეორე კანტრალიორს, ფიცხლავ წამოდგა დაბალი ტანის შავწვერა კანტრალიორი და მკვირცხლათ მიუგო.

— რაპორტი!

— ყოჩაღ! დაჯექი! ესიამოვნა ბელოის.

— აბა შენ მითხარი ბენტერაძე რა არის კანტრალიორის მოვალეობა? შეეკითხა ის მესამე კანტრალიორს.

ზეზე წამოდგა ჩასუქებული კანტრალიორი, ჩაახველა ცოტა დაფიქრდა და მიუგო:

— კანტრალიორის მოვალეობა არის, ბატონო დირექტორო, შემდეგი: უპირველეს ყოვლისა ის უნდა დახვდეს ვაგონს, შეხტეს ვაგონზე და უპირველეს ყოვლისა თვალები დაუბრიალოს კონდუქტორს და ვატმანს. შემდეგ უზრდელათ ბილეთები

გაუსინჯოს მგზავრებს, კიდევ დაუბრიალოს თვალები კონდუქტორს და ჩამოხტეს ძირს.

—სხვა არაფერი? გაჯავრებით შეეკითხა ბელოი.

— სხვა არაფერი

— დაეგდე! არაფერი არ აცი, თუ კარგათ არ გისწავლია ხვალვე დაგითხოვ სამსახურიდან: გაბრაზდა ბელოი.

ბენტერაძე ერთი საშინლათ დაიბრანჯა და გულსაკლავი ტირილი წასდა.

— აბა შენ სთქვი კოვზიტლაკე, რა არის კანტრალიორის მოვალეობა? ალერსით მიმართა ბელოიმ კანტრალიორ კოვზიტლაკე ზმუილაძეს.

— კანტრალიორის მოვალეობა შემდეგია: ეპირველეს ყოვლისა თქვენი მორჩილება.

— ყოჩაღ!

— შემდეგ—კანტრალიორი უნდა დახვდეს ვაგონს, შეხტეს ზედ და უპირველეს ყოვლისა შეადგინოს რაპორტი, კონდუქტორზე ან ვატმანზე

— ყოჩაღ, ყოჩაღ ჩემო კოვზიტლაკე. ბარაქალა. დაუკრა ტაში ბელოიმ.—რაზედ უნდა სწეროს რაპორტი?

— უკეთუ კონდუქტორს დააცხინკვა, ან თავი შეიფხანა, ან დასასვენებლად ჩამოჯდა.

— კიდევ?

— უკეთუ დაამთქნარა, უკეთუ ვატმანმა ცხვირი მოიწმინდა ცხვირსახოცით და არა სახელოთი, უკეთუ დაახველა ვაგონის მოძრაობის დროს, და სხვა.

— ყოჩაღ! ბარაქალა! ყვიროდა ბელოი.— აბა ეხლა მითხარი ჩემო კოვზიტლაკე, რა უნდა ქნას კანტრალიორმა, როცა არც ერთი შენ მიერ ჩამოთვლილ მიზეზთაგანი არ არის?

— უნდა შეთხზას მიზეზი და იმაზე ააშენოს რაპორტი.

— ბრავო! ბრავო! ყლორეინებდა ბელოი. აბა სთქვი როგორ?

— ვთქვათ კანტრალიორი შეხტა ვაგონზე, ის განგებ წავუჯიქავებს კონდუქტორს, შემდეგ თვალებს დაუბრიალებს და დაუწყებს ყვირილს: როგორ გაბედე და შეურაცხყოფა მომაყენე, გაჯავრებული ჩამოხტება და იქვე სწერს რაპორტს კონდუქტორმა შეურაცხყოფა მომაყენაო.

— ბრავო! ბრავო! კვლავ გაისმა ბელოის ხმა.

გაკვეთილი გათავდა. ბელოი შემობრუნდა და კარებში დამინახა, ცოტა ვითომ შერცხვა, მაგრამ თითქოს არაფერიაო, ჩემსკენ წამოვიდა და ხელი ჩამომართვა.

— მობრძანდით, ბატონო ბურნუთო, მოხარული ვარ თქვენი ნახვის, მიმიწვია მან.

— უკაცრავათ, მაგრამ ჩემი ჰაეროპლანი ქუჩაშია და უბრძანე ვინმემ თვალ-ყური ადევნოს მეთქი.

— როგორ, თქვენ ჰაეროპლანით დაბრძანდებით და ჩემს ვაგონებში არა ჯდები და ზარალს მაყენებ? განრისხდა ბელოი —მე ეხლა თქვენთვის არა მცალია—სთქვა მან და ზურგი შემაქცია

მეწყინა ძლიერ, გამოვედი, გადავჯექი ჩემ ფრთოსანს და გულდაწყვეტილი კარებზე მივდექი

—

„სალამურის“ რედაქტორს—მინდოდა შემეჩივლა, რომ, მე, მის თანამშრომელს ასე უზრდელად ეპყრობოდენ.

კარები დავაკაკუნე. რამდენიმე წუთის შემდეგ კარები გაიღო და შიშით გული კინეღამ წამივიდა, როცა რედაქტორს შევხედე. თვალებიდან ცეცხლს ჰყრიდა.

ენა ვერ დავსძარ.

— არა, რა თავს იგდებ, ბატონო ბურნუთო, რომ მთელი ქვეყანა ამიყაყანე?—რაებს სწერ თუ იცი ამ ჩემს ჟურნალში?! შენ თუ გვერდები გექავება, ჩემო ძმავ, იმდენს მიგცხებ ამ კეტს, რომ სულ ვაი დედას იძახდე!—რედაქტორმა იქვე დიდ კეტს წამოუსვა ხელი—დღეის შემდეგ თუ რამე დაგიწერია კიდევ ნახავ მაშინ სეირს—დამემუქრა რედაქტორი და ცხვირ წინ კარები წამომიხურა

ამ ამბავმა ისე ცუდად იმოქმედა ჩემზე, რომ მივედი თუ არა სახლში თავი ძალიან ცუდათ ვიგრძენი და ჩავწექი. კიდევ ბევრი დამრჩა სავიზიტო და არ ვიცი შემდეგ კვირისთვის როგორ წავა საქმე, თუ რედაქტორი შემირიგდა მეტი არა მინდა რა, თუ არა და მშვიდობით ჩემო ვიზიტებო!

ბურნუთი.



ღმერთების ბრძოლა

(პ ო ე მ ა)

I

მაღალს წალკოტზე, ბუნებისა თვალთ-წარმტაც მკერდზე,
ვარდ-ყვავილებით მოქარგულზე სამოთხის დარათ,
სად ტურფა გული გაეშალა მშვენიერებას,
მთვარე მაღლიდან დანათოდა ღიმილით, წყნარათ,
სად ცელქათ კრთოდენ, ელვარებდენ მისი სხივები,
ამბორსა ჰყოფდენ წმინდათ-წმინდას ამა ადგილსა;
სადაც ზეფირი ბუჩქთა შორის ლაღათ დაჰქროდა,
სათუთ ყვავილებს ატოკებდა, უკრთობდა ძილსა;
სად ვერ მიმწვდარა ტლანქი ხელი ადამიანის,
იმის გულ-მკერდსა ჯერ ბოროტათ ვერ შეხებია,
სადაც სიცოცხლე, სიხარული, მშვენიერება
გრძნობით ურთ-ერთსა გარდაწვნია, ჩაჰკონებია;
აი, ამ ადგილს მოეყარათ თავი ღმერთებსა:
თავისუფლების, სიყვარულის, ბოროტებისას,
და თვის კამათით ანცვიფრებდენ მდუმარე მთებსა,
წყვეტდენ კითხვებსა, მწვავე კითხვებს ამა ქვეყნისას.
აჰა, მოწყენით სიყვარულის წამოდგა ღმერთი,
ხელი გაშალა და მაღალ ხმით ღაღად ყო-მანა:
—ვიშ, რა კარგია, რა ტურფაა მთელი ბუნება,
როგორ სამოთხეთ მეჩვენება მე ეს ქვეყანა!
აგერ ცისაკენ აზიდულან მაღალნი მთანი,
ქედ მოუხრელნი, თითქოს ღმერთსა ეჯიბრებიან,
და მათი ჩრდილნი, ტბის წიაღში გადატყორცნილნი,
წარმტაც სურათად გაშლილ გულზე ექარგებიან.
აგერ ჭალები!.. მწვანე მდელო!.. კამკამა წყლები!..
მათ გულ-კიდეზე მცენარენი ზე-გადაზრდილნი,
ტურფა ბაღები, სულის დამტყვევ, ფიქრთა ამშლელნი,
ათასგვარ ჯიშის ყვავილებით გარდაფეთქილნი.
მომკვდავ კაცთაგან ოცნებაში წარმოდგენილი
სამოთხე, თვისი სიდიადით აქ იხატება,
ერთი შეხედვით გგონია, რომ ამ სოფლათაა
ყოველი სიტკბო, სიხარული, ბედნიერება.
მაგრამ ფუჭია, ურგებია კაცთათვის ყველა,
ადამიანი ამ სიმდიდრით ვეღარ სარგებლობს,
შურსა და მტრობას საცოდავნი ბრმათ გაუხდია,
დიდი, პატარა შეუწყვეტლათ კვნესის, ვალალობს.
ოხ! რომ შეეძლოსთ შეყვარება იმათ ურთ-ერთის,
მაშინ ეგ ტანჯვა სიხარულათ გარდიქმნებოდა,
არ ექნებოდა აქ ადგილი სიმშილს და წყურვილს
და ეს ქვეყანა ერთი-ორათ აყვავდებოდა.
მაგრამ მე მათგან განდევნილი დავდივარ ობლათ,
ბოროტნი კაცნი მაწამებენ, შურსა მიგებენ,

ტანჯულთა შორის აღარა მაქვს სოფლათ ადგილი,
სასტიკად მტრობენ, ბოროტებას გააღმერთებენ.
ამ სიტყვათ სმენით ბოროტების განრისხდა ღმერთი,
თვალნი აანთო, კბილთა ღრჭენით გააღო ხახა
და მოწყენილსა, ჩაფიქრებულს სიყვარულის ღმერთს
პირ-დორბლიანმა შეუტია, მკაცრათ შესძახა:

ბოროტების ღმერთი:

— ხმა, ხმა, საბრალოვ! გონზე მოდი, ნუ გავიწყდება,
რომ შენს ახლოა ბოროტების ღმერთი დიადი,
ვისაც მორჩილობს ეშმაკთ რაზმი, თვით ტარტაროზი,
ვის ბრძანებითა ეფინება ცის თაღს წყვდიადი.
შორს სიყვარული! ვერა, იმას ვერ იგემებენ!
ჩემი მონაა შენი სატრფო ადამიანი,
ვერვინ შეარყევს ძლევა-მოსილს ჩემსა მეფობას,
მცველათ მყავს ალქაჯთ უხუცესი, ცეცხლის ხმლიანი.
ამ საპყართ მონათ, ამ საბრალო, უგუნურ კაცთა
ჩემი გმობა რომ განიზრახონ, ზურგი მაქციონ,
მაშინ იმ შენთა მაძებართა, შენთა ერთგულთა
ნახე რაოდენ მწუხარების ცრემლი აფრქვიონ.
დაუსტვენ ალ-ქაჯთ, მსწრაფლ წამოვშლი მთელსა ჯოჯოხეთს,
დავსჭექ-დავქუხებ, ცეცხლის ალში გავხვევ ამ არეს,
მყისვე გავმუსრავ საუკუნოთ ცოდვის შვილებსა,
მთელსა ქვეყანას დავამსგავსებ უტყვსა სამარეს.
დიახ, გავმუსრავ!..
აქ კი ღმერთამ თავისუფლების
ვერ მოითმინა და იმის წინ ამაყათ წარსდგა.
აქამდე გრძნობა მიყუჩებულ-მიძინებული,
რისხვით აზვირთდა, შურის გების წყურვილი აღსდგა.
და სთქვა მრისხანეთ:

თავისუფლების ღმერთა:

— ბოროტებავ, ჰოი საბრალოვ!
შენი მეფობის აღსასრულის დღე მოსულია,
დიდი ხანია არ-ყოფნისა სასწორზე დაგდე,
მით მოგიწამლე, საცოდავო, სიხარულია!
მე ვარ, მე ღმერთი, ყოველ კუთხით ისმის ჩემი ხმა,
მგოსანნი მარად მიმღერიან უცხო ჰანგებსა,
თვით ფრინველებიც მე მეტრფიან, მე მიგალობენ,
ეჯიბრებიან ჩემს ალერსში მეტყველ კაცებსა.
მაგრამ ჯერ რაა? ეგ პირველი ნაბიჯი არი,
წინსვლის გზაზედა გარდადგმული გამარჯვებულათ;
თუნდ დღეს აღიგვა შენ სრულიად მიწის პირიდან,
მე მაინც არ მსურს, რომ ვიცხოვრო მოსვენებულათ.
თავისუფლად სვლა? განა ეგ მაქვს მარტო დევიზათ?
არა! ეს მხოლოდ დასაწყისის დასაწყისია,
ამ გზაზე სვლისა დასასრული ჩემთვის არ სუფევს.
ამ გვარი აზრი არას დროს არ შემითვისია.

თუ რამ არსებობს წინ არსებობს, და არა უკან,
არც ერთ ადგილზე გაყინვაა წესი საქები.
ვნახავ ამ სოფელს, იმ სოფელსაც... მაგრამ არც ერთთან
სამუდმო ბინას არ გავიჩენ, არ გავჩერდები.
ჩემი სიცოცხლე მხოლოდ წინ-სვლის გამოხატვაა,
ტლანქი სიკვდილი ბინძურ ხელით ვერ შემეხება.
მარად ახლისკენ! მუდმივათ წინ! სანამ ქვეყანა
არ-ყოფნის უფსკრულს სამუდმოთ არ გარდიჩეხება!

ბოროტების ღმერთი.

— ადამიანი? ის ხომ მაინც მონა იქნება,
მონა საბრალო, დატუქსული, დამარცხებული!
ჩემგან თავის ხსნას ვერასოდეს ვერ ეღირსება,
საუკუნოდ ვარ იმათ გულში დამკვიდრებული!
ჰქენ როგორც გინდა! თუნდ ქვეყანაც გადააბრუნე,
ზეცით მოიხმე შენი სატრფო იდეალები,
მას თან მოყვება ჩემ ბრძანებით კაცთ შესამუსრათ
ჯოჯოხეთისა გრგვინვა-მეხი, ცეცხლის ალები.
თავ-ზარსა დავსცემ, შევაძრწუნებ კიდითი-კიდეს,
წინ-სვლას კი არა, უკან სვლასაც რომ ვერ ბედავდენ,
თვით თვალთ-წარმტაცსა, მშვენიერსა შენს არსებაში
წამების მეტსა ვერასფერსა ვერა ხედავდენ.
იარე მარტო, განდეგილათ, ვით ვინმე მწირმა,
კაცთ თანაგრძნობას ეს იცოდე ვერ მოესწრები,
შენ თვალს აუხელ? მე სიბნელით სულს ამოვხუთავ,
გამარჯვებული ბოლოს მაინც კვლავ მე დავრჩები.

თავისუფლების ღმერთა:

— ხა-ხა, ხა-ხა-ხა! უბედურო, რაებსა ჰბოდავ!?.
ჩემი მეფობა იგივ კაცთა მეფობა არი,
ჩემ საფარველ ქვეშ წმინდის გულით შეფარებული.
გმირთა-გმირია და შენგანა ხელ-მიუკარი.
მე ვბადებ გმირებს, ბეჩავ-მონათ ვხდი ლომ-კაცებათ,
და მათთან ერთათ წინ მივდივარ, ვიკაფავ გზასა,
აღთქმულ ქვეყანას უეჭველათ ვიცი ვიხილავ,
და კვლავ განვაგრძობ სხვა ქვეყნისკენ მედგრათ წინ-სვლასა.
ჯოჯოხეთისა ცეცხლ-ალები ვერ შემაკრთობენ,
მე თვით ცეცხლი ვარ ადამიანთ გულში ანთილი,
ვერც დამიჭირავს ქვითკირისა ციხე-საკანი,
ჩემი ტყვეობის ჟამი უკვე არი განვლილი.
სუსტია მხოლოდ სიყვარულის ჭაბუკი ღმერთი,
სულის სამოთხე და გვირგვინი ამა სოფლისა,
მას კაცთა შორის მე თვით ვხედავ არა აქვს ბინა,
ველარ უცვნია ადამიანს ბედშავს, ცოდვილსა.
მიზეზი ამის დღევანდელი წარმართი დროა,
უსწორ-საზომო, უკულმართი და დაცემული,
შედეგი კაცთა ზნეობრივათ და ძალ-ღონითა
სრულად დაცემის... შფოთიანი, დამყაყებული.
მის სიბინძურემ გამოჰფიტა ადამიანი,

მადალი გრძნობა უბედურმა ვერ შეითვისა
და სიყვარული, ეს დიადი ციური ძალა,
ხელით უსხლტება .. ამაოა სრულად მისთვისა.
ოჰ, რომ იცნობდეს ამ მშვიდობას, სულის სამოთხეს,
ბინძური სულო! შენ გულიდან ამოგიგლეჯდა.
ბასრი მახვილით გაგიპობდა მაგ მურტალ მკერდსა
და შენს მყრალ ლეშსა ულმობელათ შუა გაწეწდა.
მაგრამ დადგა დროც, დრო შენთ დღეთა დასასრულისა,
მოგიახლოვდა შესაზარო, დღეები მწარე,
მე ვარ, მე ღმერთა, კაცთ სანატრელ თავისუფლებისა
ეფსკრული შთანგთქავს, გათხრილია შენი სამარე!

ბოროტების ღმერთი

— რაო, რას ამბობ? საცოდავო, სიკვდილს მიქადი?
ეხლავ დავუსტვენ ჯოჯოხეთის შავსა ძალებსა,
წარღვნას მოვუვლენ ულოდნელათ ხთელსა სამყაროს,
ოკეანებათ გარდავაქცევ ვიწრო ღელებსა.
და შიგ ჩაგაღრჩობ'..
აქ კვლავ ღმერთამ ვერ მოითმინა,
ჩასცა გულს შუბი, ცოდვის სისხლი დააღვრევინა
და ბოროტ ღმერთსა, შესაზარი კვილ ღრიალით,
ღვალი გზები სიმწარისგან გაარღვევინა.
თვით კი სიამით ზეცისაკენ გაჰკრა კამარა,
თანაც წარმტაცათ ამოჰკიდა ტურფამ სიმღერა;
იწყო ნავარდი დაულეველ ცისა სივრცეში,
ლეგა ღრუბლებსა ჩაერია, დაკვეთ-დასერა.
სიყვარულისა ღმერთიც მასთან სცურავდა ლაღათ,
ხან მზეს ეტრფოდა, ხან ლაჟვარდში ჩაინთქებოდა.
ძირს კი მიდამო, ათას ფერათ აყვავებული,
ორთა ქვეყნის თვალთ იდუმალათ ეღიმებოდა.
იქ, ჯოჯოხეთში, ბოროტების ღმერთი დრტვინავდა,
დაჭრილ მკერდიდან სისხლი ღვარად გადმოსდიოდა
და ცეცხლის მფრქვეველთ, საშიშართა ბნელეთის დარაჯთ
შურის საგებათ, მწარის ხმითა ,ის უყიოდა.
კვნესდენ, გმინავდენ ამ ამბავზე უკუნის შვილნი,
თვით ტარტაროზი ცხარე ცრემლით იმდუღრებოდა,
თან ცოდვილს მიწას, გაჭირვებულთ ადამის ძეთა,
ცეცხლის მფრქვეველი, ცეცხლით წარღვნას ემუქრებოდა.
ჰქუხდა, ჰბორგავდა!...

ნ. ჩხიკვაძე.

(შემდეგი იქნება)

ს ა ლ ა მ უ რ ს.

ჩუ! ხმა მესმა სალამურის,
გულსა სევდა გადაჰფერა,
იმედები აუყვავა,
აღტაცებით ააძგერა...
  გაზაფხულის ჰიმნი არის!
მალე ვნახავთ მერცხალთ კრებას,
საქორწილოთ მოკაზმ-ულსა
სიცოცხლეს და ნეტარებას.
  ღრუბელთ რიდე გაიხსნება,
ცას ვიხილავთ, მოკაშკაშეს,
და სხივს, ქვეყნის მანათობელს,
მის ლაჟვარდში მოთამაშეს.
  ცელქი სიო ჩამოირბენს
ზურმუხტ-ნაფენ მინდორ-ველად,
მკერდზე ძვირფას ქვებს დააბნევს,
სიყვარულის საფუძველად:
  აქ—ალმასს, იქ—ლალ-ბრილიანტს,
იქით კიდევ იაგუნდსა...
ყველა ამს ძღვნათ მიართმევს
გაზაფხულის ფრთოსანთ გუნდსა,
  რომ იმანაც სალამურის
ხმას შეუწყოს თვისი ჰანგი,
სხვა და სხვა ხმით, მაგრამ მწყობრათ,
ააღღერონ ქვეყნის ჩანგი!
  ტკბილათ უკრავს სალამური...
გულსა სევდა გადაჰფერა
და მომავლის იმედებით
აატოკა... ააძგერა...

ნ. ზომლეთელი.

იესო ქრისტე ჰქადაგებს.

ხებს; ჰბორგავს. ხანთავის დასისხლიანებულ თვალებს იქვე მჯდომ მოხუც დედას მიაშტერებს, ამ შეხედვაში რაღაც გამოუთქმელი მწუხარება იხატება, თითქოს უნდა რაღაც უთხრას, თითქოს უნდა გაუზიაროს თავის აუტანელი ტანჯვა-წამება, მაგრამ ვერ მოუხერხებია, მისი ტვინი აღარ მუშაობს, მას არ შეუძლია სთქვას ის რასაც გრძნობს. უმწეო. ობოლ მიწურ ქოხში დიდ მძიმე ლოდიანით მოწოლილა სევდა, გაბატონებულა, ყველაფერი დაუმონავებია, შეუბორკავს, ყველაფრისთვის თავის წაუშლელი დაღი დაუსვამს. მისი შიშით შავთ აყუდებული კედლები თითქოს გარინდებულან ხმას არ იღებენ; შავ, გაკვამლულ ფეჩში მბჟუტავი ცეცხლი ჩუმათ, ქურდულათ რაღაცას ბურტყუნებს, ეშინია ბატონმა სევდამ არ გაიგოს მისი ხმა მხოლოდ ერთათ ერთი ცოცხალი ადამიანია არის ამ საფლავის მსგავს ოთახში, ეს არის დედა სალომე, ბატონ სევდას მისი მოხუცი გული სულ მთლათ გამოუღრღნია, იქ საუკეთესო ბინა უშოვნია და ღრუტნის, სჭამს თუ კი რამე დარჩენილა. სალომე მთელი დღე-ღამეები ზის და უყურებს თავის უბედურებას, თავის ერთად ერთი შვილის უზომო ტანჯვას.

ეს არის გიჟი იაგორა.

იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ თფილისს ფეხი არ ჩაედგა, ნაძალადევში და თავის მფარველობის ქვეშ არ მიეღო ეს კუთხე, სხვებთან ერთათ ტიმოთე ქერაძემ შემოიფარგლა თავისთვის ერთი ნაჭერი მიწა, გამოღრუტნა, შელესა შემოლესა კედლები და შეძვრა შიგ, მყუდრო ბინა გაიკეთა. ამ დღიდან ტიმოთემ თავისუფლათ იგრძნო თავი, საკუთარი ოჯახი, საკუთარი კერა გაიჩინა ტიმოთე დღიურათ მუშაობდა და ცოტაოდენი გროშები შემოჰქონდა ოჯახში, მისი საყვარელი ცოლი სალომე ოჯახობდა და ასე სცხოვრობდენ ტკბილათ. ცოტა ხნის შემდეგ ტიმოთემ თავის ქოხს ფიჩხის ღობე შემოავლო, ხეხილები ჩარგო და მშვენიერი პატარა ბაღი გაიშენა. სასიამოვნო სანახავი იყო, როცა მუშაობისგან დაღლილ-დაქანცული ტიმოთე საღამოზე ბრუნდებოდა სახლში, დაიბანდა ხელ-პირს, დაიჭერდა ხელში პატარა დანას და მიდიოდა თავის ბაღში, ის ყველა ხეხილს დაუვლიდა, ძირებზე ხელს შეუსობდა, მიეალერსებოდა, თუ საღმე გამხმარი ტოტი ან ფოთოლი იყო, სიფრთხილით შემოაცლიდა დანით, თვითოეულ ხეხილს ისე უვლიდა ტიმოთე, როგორც საკუთარ შვილს. შეუყვარდა მას ეს თავის პატარა საკუთრება, მთელ თავის სიცოცხლეს შესწირავდა, რომ ვინმეს მოენდომებია მისი ამ საკუთრების ხელიდან გამოცლა, თავს შეაკლავდა, რომ ვინმეს მოენდომებია მისი ეზოდან ერთი მუჭი მიწის წაღება, ასეთივე აზრით გამსჭვალული იყო სალომეც, მათი სიცოცხლე მათი იმედი, მათი სიმდიდრე, მათი მიწური ქოხი, პატარა ეზო და იქ გაშენებული ხეხილი იყო სალომე დაუღალავი დედაკაცი იყო, მთელი დღე მისი მოსვენება არ იყო. როცა თიმოთე სამუშაოზე მიდიოდა სალომეც იწყებდა შრომას, ხან რეცხდა, ხან ჰკერავდა, ხან ბავშვს უვლიდა,— ყოჩაღ სალომე, ყოჩაღ!— ეტყოდა ხოლმე ტიმოთე, როცა ეზოში ქათმების გროვა წამოიშლებოდა,— შენისთანა დედაკაცი ძვირი არის ქვეყანაზე. აბა ნახე თუ ამდენი ქათმები ამ ჩვენ კუთხეში ვინმეს ყავს, აბა შეხედე აი იმ მამალს, დრაგუნის აფიცერივით, ამაყათ, რომ მიაბიჯებს, ასე გეგონება კაი მოწიფული ვაჟკაცი იყოს.

სალომე მორცხვათ თავს ჩაღუნავდა ქებით ნასიამოვნები

ტიმოთეს და სალომეს ერთად ერთი მემკვიდრე ყავდა ეს იყო პატარა ბიჭი იაგო. მისი ალერსით ვერ ძღებოდა ვერც დედა და ვერც მამა. მასზე ამოსდიოდათ მზე.

პატარა იაგო მთელი დღეები უდარდელათ თამაშობდა დედ-მამის საკუთარ ეზოში. მისთვის ამ დროს არ არსებობდა სხვა არაფერი გარდა თამაშობისა.

მის უდარდელ ცხოვრებას ჯერ არ გადაჰკვროდა ქმუნვის დღუბელი, ბატონ სევდას ჯერ ვერ ეშოვნა ადგილი მის პატარა სპეტაკ, სათუთ გულში.

მაგრამ დრო გადიოდა, ის იზრდებოდა და მისი გულიც სულ სხვა ფორმას ღებულობდა, სულ სხვა გრძნობა იწყობოდა შიგ ფართხალს.

ტიმოთეს ყველაზე ახლო მეზობელი იყო ნინიკა ზუკაშვილი. ისეთი მეზობლობა ჰქონდათ, რომ ერთი მეორესთვის სულს არ დაიშურებდენ. თუმცა ორივეს თავიანთი საკუთარი ეზო ირგვლივ შემოღობილი ჰქონდათ, მაგრამ, რომ ახლო ყოფილიყვენ და უფრო ადვილი ყოფილიყო მისვლა-მოსვლა, შუაზე გაიკეთეს ჭისკარი. და ხშირათ დადიოდენ ერთი მეორესას. ერთი მეორეს სულს არ დაუშერდენ. ნინიკასაც ჰყავდა პატარა ქალი თაფლო. გათენდებოდა თუ არა ხელათ შემოირბენდა ტიმოთეს ეზოში, იაგო მზათ დახვდებოდა და იმართებოდა თამაში. მთელი დღეები ერთათ იყვენ გართული თამაშობაში და უდარდელათ ატარებდენ დროს.

დრო კი გადიოდა და თავისას შვრებოდა.

იაგო წამოიზარდა. ტიმოთეს იმდენი შეძლება არ ქონდა, რომ შვილისთვის შესაფერი სწავლა მიეცა და ამიტომ პირველ დაწყებითი სკოლის გათავების შემდეგ ნოქრათ მიაბარა ერთ დიდ მაღაზიაში.

ახალი ამბები

(კვირიდან კვირამდე)

მარტირუზოვების საქმე. როგორც წინა ნომერში ვსწერდით ექიმ აღამალოვის მკვლელთ ცოლქმარ არშაკ და თამარა მარტირუზოვებს საოლქო სამხედრო სასამართლომ გადაუწყვიტა—პირველს ჩამოხრჩობა, ხოლო მეორეს 20 წლის კატორღა. ამასთანავე სასამართლომ დაადგინა იშუამდგომლოს კავკასიის ნამესტნიკის წინაშე თამარა მარტირუზოვს შეუმსუბუქონ სასჯელი.

კავკასიის ნამესტნიკმა შუამდგომლობა შეიწყნარა და თამარა მარტირუზოვს 20 წლის კატორღა ორიოდ წლის დატუსაღებით შეუცვალა, უფლებათა ჩამოურთმევლათ.

—

არტისტიულ საზოგად. შენობის გაყიდვა. ცნობილ მდიდარ მანთაშევს მოლაპარაკება გაუმართავს თფილისის არტისტიულ საზოგადოებასთან. მას სურს შეისყიდოს ამ საზოგადოების შენობა.

—

სახალხო უნივერსიტეტის სკოლების ბედი. 3 იანვარს მოხდა სახალხო უნივერსიტეტის გამგეობის წევრთა კრება. ამ კრებაზე უნდა გადაწყვეტილიყო უნივერსიტეტის სკოლათა ბედი. როგორც მკითხველებმა იციან, უნივერსიტეტის გამგეობამ გადასწყვიტა უსახსრობის გამო დახუროს ყველა სკოლები. ამ კრებაზე მიწვეულნი იყვენ მასწავლებელნიც. გამგეობამ აუხსნა მასწავლებლებს საზოგადოების მდგომარეობა, რომ მას არც კი შეუძლია მათ ჯამაგირები აძლიოს თავის დროზე და შეეკითხა შეუძლიათ თუ არა ასეთ პირობებში მუშაობა. მასწავლებლებმა თანხმობა განაცხადეს, განაგრძონ მუშაობა, მიუხედავთ ასეთ მდგომარეობისა. გამგეობამ დაადგინა ახლო მომავალში კონცერტი გამართოს.

—

ისევ დეპ. კ. ჩხეიძის საქმე როგორც გაზეთ „ვოლოს კავკაზას“ გაუგია თფილისის გუბერნატორი შუამდგომლობს სენატში გაუქმებულ იქნას საგუბერნიო საარჩევნო კომისიის დადგენილება

როგორც წინათ ვწერდით ამ კომისიამ უარჰყო მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის წინადადება ჩხეიძის საარჩევნო სიიდან ამორიცხვის შესახებ, რადგან ის კანონიერ არჩეულათ სცნო.

—

ახალი ქართული გაზეთი. თფილისის გუბერნატორმა ნება დართო ნაფიც ვექილს გრ. დიასამიძეს გამოსცეს თფილისში ქართული გაზეთი „თემი“ გაზეთი ორშაბათობით გამოვა.

—

ერმოლოვზე თავდასხმის საქმე. 22 დეკემბერს კავკასიის სამხედრო-საოლქო სასამართლომ გაარჩია ბათუმში ოზურგეთის მაზრის მცხოვრებ ვარლამ თიკანაძის საქმე. მას აბრალებდენ, რომ 1907 წელს 5 აგვისტოს ქ. ბათუმში ოზურგეთის ყოფილ მაზრის უფროსს ერმოლოვს ყუმბარა ესროლა. ერმოლოვი გადარჩა, ხოლო მისი ცოლი მსუბუქათ დაიჭრა სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა თიკანაძეს, მაგრამ რაკი ის გულწრფელათ გამოტყდა დანაშაულში, თან დაადგინა შუამდგომლობა აღძრას შეუმსუბუქონ სასჯელი.

—

ახალი ჟურნალი. 1 იანვარს გამოვიდა ახალი იუმორისტული ჟურნალი „ეშმაკის მახე“. ჟურნალი, საინტერესოთაა შედგენილი.

—

რუსას ცნობილ მწერალ ლეონიდ ანდრეევზე თავდასხმა. ამ ჟამად რუსის ცნობილი მწერალი ლეონიდ ანდრეევი ფინლიანდიაში სცხოვრობს. ამ დღეებში ის კინაღამ მსხვერპლი გახდა უგუნური კაცის ხელის. ერთ საღამოს ანდრეევის მეუღლეს შეუნიშნავს, რომ მეეზოვემ ანდრეევის კაბინეთში შესვლა მოინდომა ეტყობოდა გაჯავრებული იყო. მეეზოვე შეაჩერეს, ხმაურობაზე გამოვიდა თვით ანდრეევი და წინადადება მისცა მეეზოვეს წასულიყო, მეეზოვემ რევოლვერი იძრო და ესროლა. საბედნიეროთ ტყვია ასცდა ანდრეევს. მოინდომეს მეეზოვეს დაჭერა, მაგრამ, მან ხელზე უკბინა ანდრეევის მეუღლეს, დაუსხლტა ხელიდან და გაიქცა.

გარიყულნი

(სურათები)

II.

გიჟი ბაგორა.

სისხლით დაბერილი თვალები საზარლად დაუჭყეტია და უაზროთ აქეთ იქით ატრიალებს, თითქო ეძებს რაღაცას; მთელი სახე ჭარხალივით გაწითლებული აქვს. დანაოჭებულ შუბლზე ჭირის ოფლს ასხამს. ძველი, გამწვირიანებული საბანი შემოუხვევია და ორივ ხელებით მაგრათ უჭირავს, თითქო ეშინია არსად გაექცეს. სწუხს, კვნესის, რაღაც აწუ-

დილის ექვს საათზე ხუთმეტი წლის იაგო მიდიოდა მაღაზიაში და საღამოს რვა საათზე ბრუნდებოდა დაღლილ დაქანცული. მას ეხლა თაფლოსან თამაშობის არც დრო ჰქონდა და არც ხალისი, ეხლა მას თავი ვაჟკაცათ მოჰქონდა და აბა როგორ იკადრებდა პატარა გოგოსთან თამაშს, თუმცა არც თაფლო იყო ეხლა პატარა. მას უკვე თორმეტი წელიწადი შეუსრულდა, ეხლა ის უკვე ცოტა დროს აღარ ანდომებდა მორთვა მოკაზმვას, ყველაფერს ყურადღებას აქცევდა, თმა მშვენივრათ დავარცხნილი, ტანზე ლამაზათ ჩაცმული, მიხვრა-მოხვრა და ლაპარაკი ზრდილობიანი, მეტათ კოხტა და შნოიანი გოგონა დადგა თაფლო როგორც წინათ ეხლა ის ქაჯივით აღარ შემოიპრეწებოდა ტიმოთეს ეზოში და ყელზე არ ჩამოეპრეწიალებოდა იაგოს. როცა შეხვდებოდა ზრდილობიანათ სალამს მისცემდა, ხელს ჩამოართმევდა და სასიამოვნოთ გაუღიმებდა.

დრო კი გადიოდა და თავისას შვრებოდა.

პატარაობიდან ერთათ შეზრდილ იაგოს და თაფლოს გულში ჩაინასკვა ის ძლიერი გრძნობა, რომელმაც ბოლოს შეჰბოჭა ორივე და მათი სიცოცხლე შეადუღა, მეიდროთ შეაკავშირა

დრო გადიოდა და სიყვარულის ალი თან და თან ეკიდებოდა იაგოს და თაფლოს. ვერც პირველს და ვერც მეორეს ანგარიში ვერ მიეცა თავისთვის რა ხდებოდა მათ გულში; იაგო გრძნობდა, რომ თაფლო მისთვის ყველაზე უკეთესი იყო ყველას ერჩივნა, დედას, მამას. მხოლოდ რისთვის? ამ კითხვაზე პასუხი ვერ მიეცა. რასაც კარგ რამეს იშოვნიდა იაგო უთუოდ თაფლოსთვის უნდა მიეტანა. თან კიდეც უკვირდა რატომ თაფლოსთვის უნდოდა ყველაფერი და არა სხვისთვის, ასეთი ამბავი ხდებოდა თაფლოს გულშიაც. ის, რაც მათ ვერ გაეგოთ და ვერ აეხსნათ ერთმანეთისთვის, მათი თვალები ეუბნებოდენ ერთი მეორეს. ბოლოს მათმა შეგუებულმა გრძნობამ იშოვნა გასავალი, გადმოხეთქა და ორივე მაგრათ ჩაიხვია.

იაგო კვირა უქმე დღეებზე სულ მუდამ თავისუფალი იყო. თუმცა საზოგადოთ კვირაობით სხვა მაღაზიებში იყო ვაჭრობა, მაგრამ მისი ხაზეინები ცოტათი შეგნებული ხალხი იყვენ და ყველაზე უფრო კარგი წესები ჰქონდათ შემოღებული, ისე დღეებზე დილის შვიდ საათზე აღებდენ მაღაზიას და საღამოს ექვსზე ჰკეტავდენ, კვირა უქმე დღეებში კი სულ დაკეტილი იყო. იაგოსთანა ბედნიერი არვინ იყო კვირა უქმე დღეებში, ჩაიცვამდა წმინდათ, ლამაზათ და ხან მეზობლებში ატარებდა დროს და ხან თეატრში და სხვა გასართობებში მიდიოდა—უმეტეს დროს კი თაფლოს გვერდით იჯდა და ებაასებოდა.

ერთ კვირა დღეს, იაგო ჩვეულებრივზე ადრე ადგა, საჩქაროთ დაიბანა ხელ-პირი და სადღაც წავიდა. ტიმოთეს და სალომეს გაუკვირდათ, სად წავიდა ის ასე ადრე, მაგრამ არაფერი უკითხავთ, რადგან დარწმუნებული იყვენ იაგო ცუდ რამეს არ ჩაიდენდა. რამდენიმე საათის შემდეგ იაგო დაბრუნდა სახლში არც კი შესულა ისე თაფლოსკენ შეუხვია.

— თაფლო! ათრთოლებული ხმით დაიწყო იაგომ—ვიცი არ გეწყინება, დღეს სამაგალითო წარმოდგენაა სახალხო სახლში, შენთვის არ მიკითხავს ისე ვიყიდე ორი ბილეთი, ვიცი არ გამაწბილებ და წამოხვალ, თაფლოს სიამოვნების ღიმილმა გადაჰკრა სახეზე.

— თუ მამა არ დამიშლის კარგი—მორცხვათ წარმოსთვა მან. იაგო ფიცხლავ გაქანდა იქვე ეზოში მოუშავე ნინიკასთან და დასტური აიღო. ის სიხარულით ცას დაეწია, იმისთანა ბედნიერი ამ დროს ქვეყანაზე არვინ იყო. გულის ფანცქალით ელოდა როდის მოახლოვდება წასვლის დრო. ეს დროც მალე დადგა. ლამაზათ ჩაცმული იაგო და თაფლო წავიდენ თეატრში. წარმოდგენამ ორივეზე ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა, ნახევარი გზა ისე გამოიარეს, რომ ერთი მეორისთვის ხმაც კი არ გაუცვლათ. ორივეს გული საშინლათ უცემდათ. თითქმის დაუახლოვდენ სახლს. საშინლათ ბნელოდა, თაფლო ძლივს ადგამდა ფეხს.

— თაფლო! მომეცი ხელი, აქ ცუდი გზებია, არ წაიქცე,—ძლივს გასაგონი ხმით მიმართა იაგომ.

თაფლომ ხმა ამოუღებლივ გაუწოდა ხელი. იაგომ მაგრათ ჩასჭიდა ხელი. ორივეს ერთმანეთის მიკარებაზე რაღაც არა ჩვეულებრივმა გრძნობამ ელექტრონივით დაუარა ტანში, ორივე დაიბნიდა, გულმა ფართხალი დაუწყო, შეუმჩნევლათ, თან და თან ეკვროდენ ერთმანეთს, რაღაც თავბრუ, დამხვევ დამათრობელ გრძნობას განიცდიდენ. ამ მდგომარეობაში უკვე მიადგენ ეზოს კარებს. ორივე თითქო გამოფხიზლდა, დადგა წუთი განშორებისა. ორი ძლიერათ შეყვარებული ადამიანი პირის პირ იდგენ ერთმანეთის წინაშე და თვალებით სჭამდენ ერთმანეთს.

— თაფლო! ძლივს წარმოსთქვა იაგომ.

— იაგო!—ასეთივე მიმკვდარებული ხმით გასცა პასუხი თაფლომ.

ორივე გრძნობდა რაღაც არა ჩვეულებრივი ამბავი უნდა მომხდარიყო, მავრამ რა, ან როგორ ამის ანგარიში კი ვერ მიეცათ, ეს ძნელი საკითხი მათთვის ცხადი შეიქნა, როცა ისინი გიჟურათ თავ-

დავიწყებით ერთმანეთს გადაეხვიენ და პირველი კოცნის დაღი დაასვეს თავიანთ უმანკო ტუჩებს. პირველ გიჟურ გატაცების შემდეგ, ხმა ამოუღებლივ გაშორდენ ერთმანეთს. და თავ თავიანთ ეზოს მიაშურეს

ამ დღიდან იაგოს და თაფლოს ბედი გადაინასკვა. მძლავრმა სიყვარულმა ისინი სამუდამოთ შეაერთა. გადიოდა დრო, ახლოვდებოდა მათი სამუდამოთ შეერთების, ქორწილის დღე.

დეკემბერი იყო. წყნარათ, ნელა ბარდნიდა თოვლს და თან და თან თეთრ სუდარაში ახვევდა ქალაქს. რაღაც, არა ჩვეულებრივი, ნაზი სიჩუმე გამეფებულიყო, მთელ ქალაქში, აღარ ისმოდა ეტლების ჩვეულებრივი რახრახი, ქუჩაში მოხეტიალე ხალხის ღრიანცელი. თითქოს ყველა რაღაც შიშით, კრძალვით ეგებებოდა ზევიდან მოზღვავებულ თეთრ სპეტაკ თოვლს. უკვე მეექვსე საათი იყო. იმ მაღაზიაში, სადაც იაგო მსახურობდა, უკვე იწყეს მილაგ მოლაგება და მაღაზიის დასაკეტათ გაემზადენ, რომ უცბათ ქუჩაში რაღამაც საშინლათ დაიქუხა, შეინძრა ყველაფერი. ამ საშინელმა ხმამ ყველას თავზარი დასცა, გაქვავდენ. ყველამ იგრძნო მოსალოდნელი უბედურება. უცბათ ყველაფერი მიწყნარდა, მიყუჩდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ჰაერი გააპო თოფ ზარბაზნების საზარელმა ხმამ, ყველაფერი აირია, დაინგრა, შეიქნა ლეწვა-მტვრევა-მსხვრევა. იაგო ერთ ადგილზე გაშეშდა, ენა ჩაუვარდა, ასეთ მდგომარეობაში ჩავარდენ დანარჩენებიც. ვერც ერთი ადგილიდან ვერ დაძრულიყო, თუმცა ყველა მათგანი ერთ აზრს შეეპყრო თავისთვის ეშველა. თითქო ქანდაკებაათ ისე იყვენ გარინდებული, როცა მაღაზიაში შემოიჭრენ ვიღაცაები და ასტყდა ჭახა-ჭუხი. იაგოს სხვა აღარაფერი გაუგია. მან მხოლოდ თვალი მოჰკრა, როგორ გაუფათრეს ხანჯლით მუცელი მის ხაზეინს და ნაწლევები გადმოუღაგდა, როგორ მოსჭრეს თავი უფროს ნოქარს. მას საშინელი სიცილი წასქდა, წივილ კივილით და ხარხარით უკან გავარდა და ერთ კუთხეში ცარიელ ბოჭკაში ჩაძვრა. საშინელმა სიცილმა შეიპყრო, უზომოთ იცინოდა, სხვა აღარაფერი არსებობდა მისთვის ამ ჟამათ, საზარელ სიცილს ის თითქო ჩაეყლაპა. სხვა აღარაფერი გაუგია იაგოს, როგორ მილეწ მოლეწეს ყველარერი, ის რაღაც განგებით გადარჩა. დილით, როცა ინათლა იაგო ამოხტა ბოჭკიდან და ხარხარით გაიქცა სახლისკენ. ტიმოთე და სალომე შეშინებული იყვენ, რომ ღამე არ მივიდა იაგო. როცა დილით ის თმა გაწეწილი ხარხარით შევარდა სახლში და კუთხეში მიიკუნტა, თითქო იმალებაო, სალომეს გული წაუვიდა, ტიმოთემ დაჭრილ ნადირივით დაიწყო ღრიალი.

იაგორა გაგიჟდა.

ტიმოთემ ვეღარ აიტანა ეს საშინელი უბედურება და ჩქარა გამოესალმა წუთის სოფელს. თაფლო იმ დღის შემდეგ ლოგინიდან აღარ ამდგარა, იაგორას ერთმა შეხედვამ საბოლოოთ მოუსპო სიცოცხლე. ხუთი თვის ავათმყოფობის შემდეგ ის შთანთქა შავმა სამარემ. დარჩა მარტოთ საბრალო სალომე და შეჰყურებს თავის გიჟ იაგორას.

ღამ ღამით იაგორას არ სძინავს, ჰბორგავს, დრტვინავს, რაღაც საშინლათ აწუხებს. ხანდისხან მოუვლის სიგიჟე მივარდება საბრალო სალომეს, სცემს, დაამტვრევს, სიკვდილის პირათ დასდებს და დააგდებს ძირს. რაც კი ხელში მოხვდება ყველაფერს ლეწავს გათენებამდე ასეთ ყოფაშია. ინათლებს თუ არა დაღლილი შეწვება თავის მწვირიან საბანში, მაგრათ დაიხვევს და ქშინავს. სახე ჭარხალივით გაწითლებული აქვს, თვალები სისხლით დაბერილი, შუბლზე ჭირის ოფლი სდის, კვნესის, ჰბორგავს, ცოფიანივით აქეთ იქით ატრიალებს თვალებს. იქვე ზის ნაცემი სალომე და საცოდავათ შეჰყურებს შვილის ტანჯვას, მას ავიწყდება საკუთარი ტკივილები. თუ ვინმე შევიდა შესჩივლებს თავის უბედურებას, თუ არა და ზის ისე.

ასე ატარებს დღეებს ცხოვრებისაგან გამოსროლილი გიჟი იაგორა.

დრო კი მიდის...

ირეთელი.

5 იანვარი 1911 წელი.
ტფილისი.

საყურადღებო ამბები

რუს ექსპროპრიატორებთან შეტაკება ლონდონში. 2 იანვარს „რუს. ვედ." სიტყვით პოლიციამ ნამდვილი ცნობები მიიღო პოლიციელების მკვლელი ექსპროპრიატორები ლონდონის № 100 იმალებიანო. ამ ალაგას მხოლოდ უცხოელნი სცხოვრობენ. თითო ოთახში მთელი ოჯახი სცხოვრობს 5—6 სულამდის. ამ მხარეს ღარიბი, მაგრამ ცოცხალი მშრომელი ხალხია დაბინავებული. აქვე ერთ-ერთ სახლში დამალულიყვნენ ექსპროპრიატორები: „ფრიცი" და „მხატვარი პეტრე".

მათ პოლიცია თავს დაესხა ორშაბათს, ნაშუადღევის პირველ საათზე. პირველად უბანს 1000 ჯარის კაცმა ალყა შემოარტყა. შემდეგ მიკიდნენ № 100 სახლთან და სახლის პატრონი გაალვიძეს და უბრძანეს ორის გარდა რომელნიც ბინადრობდენ მაღლა სართულში, ყველა მდგმურები გარედ გამოეყვანა.

საზოგადოება ფრიად ააღელვა ამ მხეცურმა მკვლელობამ და თხოულობს დამნაშავების სასტიკ დასჯას.

მეთვალყურე.

—

ბორი. ყოვლად დახავსებული გორი გამოცოცხლდა, სიცოცხლის ნიშანი დაეტყო. ამ დღეებში მოხდა ქალაქის ხმოსანთა არჩევნები. სწორეთ აი ამ გარემოებამ გამოაღვიძა მუდამ მძინარე ჩვენი ქალაქის მცხოვრებნი. ხმოსნებათ აირჩეს: დ. მაჭავარიანი, ზ. ქიტიაშვილი, გ. კაპანაძე, კ ელიოზიშვილი, ი. კვალიაშვილი, ი. ნატროშვილი, თავ. ამირეჯიბი, ზაზუპოვი, დ. ზუბალაშვილი, ამირაღლოვი, ნ. თუმანოვი, ს. შველიძე, მ. ალბელაშვილი და ნ. ვარძელოვი; კანდიდატებათ: ალ. ხარტიშვილი, ალიბეგოვი და ჩარუევი.

გორელი.

—

ბათუმი. თუ სხვა ქალაქებში ქალაქის „მამეში“ კვირაში ერთხელ მაინც იკრიბებიან და საქმით თუ არა სიტყვით მაინც აშენებენ ქვეყანას, ჩვენი „მამები პირველსაც და მეორესაც მოკლებულნი არიან. მართალია ხანდახან იკრიბებიან, მაგრამ კრინტსაც არ სძრავენ, რადგან, კრებებზე სძინავთ, ხვრინავთ. მათ მყუდროებას ვერც ის გარემოება არღვევს, რომ ამ წელიწადში ხმოსანთა არჩევნები უნდა მოხდეს. ეჭვი არაა ძველ „მამებს“ ადგილიდან დასძრავენ და ქალაქის თვითმართველობა განახლდება და სწორეთ აი ამ არჩევნების დროს გამოიჩიჩქნიან ყურებს, ეხლა მძინარე ხმოსნები. მოსალოდნელია დიდი შეტაკება არჩევნების დროს.

ზღვის პირელი.

—

ს. ხიდისთავი (გურია). წინათ თუ ხიდისთავი თითქმის მთელ გურიას ტონს აძლევდა, დღეს ის გურიის ყველა სოფლებს ჩამორჩა. ამის მთავარ მიზეზათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ადმინისტრაციის წყალობით აქ ყოველივე კულტურულ დაწესებულებას წესი აუგეს. განზრახული იყო ბიბლიოთეკა სამკითხველოს გახსნა, ვითხოვეთ კიდეც ნებართვა, მაგრამ უარი მივიღეთ. არ ვიცით რა მიზეზით ისევ სასტიკათ გვიყურებს მთავრობა, რომ წარმოდგენის ნებასაც კი არ გვაძლევენ. ადგილობრივი მასწავლებლები ამდენხანს დიდ ენერგიას იჩენდნენ, სულითა და გულით მონდომებული იყვენ გაეხსნათ სამკითხველო, გაემართათ წარმოდგენები და რაკი ერთხელ დაბრკოლებას გადაეღობენ ყურები ჩმოყარეს, ქედი მოიხარეს. ნუ თუ ბასილეთის სკოლის მასწავლებს არ ესმით, რომ ერთი ცდა საქმეს არ გააკეთებს. როგორც მასწავლებლები, ისე სხვები უნდა ცდილიყვენ ბიბლიოთეკის გახსნას. სხვა არა იყოს სასაცილოა წარმოდგენის ნებართვა ვერ აიღოს კაცმა. საჭიროა მხოლოთ მეტი ენერგია და საზოგადო საქმისადმი სიყვარული, მარტო დილეტანსის დახვედრა და ხიდზე სეირნობა საქმეს არ გააკეთებს.

არ შემიძლია ხმა არ ამოვიღო ერთი ამბის შესახებ: ბარშან გზეთში ბ ნ სილოვან კალანდაძის მეუღლას წერილი დაიწერა, იმ ფულების შესახებ, რომელიც იკრიბებოდა ხიდისთავში სახალხო სახლის ასაგებათ. როგორც მეც გამეგება ფულები ბლომათ შეგროვდა, დაიწყეს კიდეც შენობა და მოოლოთ ქვითკირის ამოყვანა მოასწრეს. მას შემდეგ ხმა არავის ამოუღია დარჩა ისე მივიწყებული ეს საქმე. ამ წერილზე ხმა არავინ მმოიღო. შემდეგ დაიბეჭდა მასწავლებლ ნ ემელიან ლომთათიძის წერილი. არც ამაზე ამოიღეს ხმა. თუმცა იქ პირადათ დასახელებულნი იყვენ ზოგიერთები, მაგრამ მათ სიჩუმე არჩიეს რას ნიშნავს ეს? ერთმა და ორმა არ იცის, რომ ამ საქმისთვის ბლომათ ფული იყო მოგროვილი. ისიც იციან, ვისაც ებარა ეს ფულები. ეს „პატიოსანი“ ხალხი დღეს ხმას არ იღებს. თითქო მათ არც კი შეეხება ეს ამბავი. იქნებ ფიქრობენ, რომ ამ საქმის ზოგიერთი ინიციატორები მიწაში არიან და იქიდან არ შეუძლიათ ანგარიშის მოთხოვნა? ტყუილი იმედია! დარჩენისეთებიც, რომლემბაც დაწვრილებით იციან ყველაფერი და თავის დროზე ანგარიშს მოსთხოვენ. იცოდენ ამ ვაჟბატონებმა, რომ იმ ქვიტკირში დიდი მურას თავია დამარხული და დღეს თუ არა ხვალ ამოაგდებენ და მერე გვიანლა იქნება. — სანამ დროა ამოიღონ ხმა. მოვუწოდებ ხიდისთავის ყველა ინტელიგენტებს ნუ „ჩაფარცხვენ“ ასეთ საშვილისშვილო საქმეს და განაახლონ ეს დიდებული საქმე. საჭიროა სასტიკათ გამოძიებულ იქნას: 1) ვის აქვს შეგროვილი ფულები, 2) რაში რამდენი დაიხარჯა, 3) დაიბრუნონ ზოგიერთებზე დარჩენილი ფული, 4) გამართონ ხელის მოწერა და დაადგირგვინონ ერთხელ ასეთის გატაცებით დაწყებული დიადი საქმე. თუ ამ ცოტა ხანში ხმას არ ამოიღებენ, ჩვენ ხელთა საბუთები და ყველაფერს გაზეთის ფურცლებზე გამოვამჟღავნებთ.

—კ—

ამ დროს ექსპროპრიატორები თურმე ერთ რუსის მკერავ ქალთან იყვნენ მეფარებულნი, რომელიც ამ სახლში ორ წელიწადს სცხოვრობდა და ძალიან მშვიდ და წყნარ მდგმურად ითვლებოდა. მკერავი ქალი გამოიწვიეს და დააპატიმრეს. გამოირკვა: ამ ქალს თავის ოთახი უცნობებისთვის დაეთმო და თვითონ კი ნესტიან სარდაფში გაეთენე ბინა. დილის ექვს საათზე ყველა მდგურები გარედ გამოიყვანეს. სახლს შეიარაღებული პოლიციელნი შემოერტყნენ ამ ხნის განმავლობაში ექსპროპრიატორებს ეძინათ.

ექვსის ნახევარზე ერთი პოლიციელი ჭერზე ავიდა და ექსპროპრიატორების ოთახში აგური გადააგდო. ოთახიდან თოფის სროლით პასუხი გასცეს. პოლიციელებმაც უპასუხეს. ისროდნენ ალალბედზე: უნაყოფო სროლამ ნახევარი საათს გასტანა. განთიადისას პოლიციამ გეგმა შესცვალა. ორი პოლიციელი იერიშით მივიდა, მაგრამ ერთი იმ წამსვე მსუბუქად, ხოლო მეორე გულში მძიმედ დაიჭრა. ამ დროს გაიცა ბრძანება კიდევ პოლიციელები და ჯარი გამოეწვიათ. ხმაურობაზე აუარებელი ხალხი მოაწყდა, გაივსო ქუჩები. ცნობის მოყვარენი სულ წინ ისწრაფოდნენ, მიუხედავათ იმისა, რომ რამდენიმე მათგანი მძიმედ დაიჭრა, მაყურებელნი აუარებელ ფულს აძლევდნენ, ოღონდ ახლო ჭერზე ასულიყვნენ და ამ არა ჩვეულებრივ ამბისთვის ეყურებინათ. № 100 სახლის წინ ფოტოგრაფიულ მანქანა აღიმართა და ამავე საღამოს მომხდარ ბრძოლის სურათებს აჩვენებდნენ. ორ მხრიდან სროლამ შუადღემდის გასტანა. 12 საათზე ჯარი კიდევ მოიშველეს, რომელმაც მოსვლისთანავე სროლა დაიწყო. პირველ საათზე № 100 სახლიდან კვამლი ამოვარდა. ნახევარ საათის შემდეგ ცეცხლიც აპრიალდა. აქამდე არ იციან, ცეცხლი საიდან გაჩნდა. ზოგიერთების აზრით, ცეცხლი ტყვიით გახვრეტილ გაზის მილისაგან წამოსდგა. ზოგნი კი ამბობენ: როდესაც დარწმუნდნენ ექსპროპრიტორები, რომ შველა არსაიდან შეიძლებაო თვითონ წაუკიდებია სახლისთვის ცეცხლიო.

გაჩნდნენ ცეცხლის მქრობელნი მაგრამ მათ უბრძანეს, მხოლოდ გარშემო სახლები დაეფარათ ცეცხლისგან. სახლი № 100 იწვებოდა ათასში ერთხელ თოფის ხმა მხოლოდ დაბლა სართულიდან ისმოდა, რომელსაც ჯერ ცეცხლი არ გასჩენოდა. პოლიციელებიც საპასუხოდ ერთად ესროდნენ თოფებს. რამდენიმე ხნის შემდეგ სახლი ბოლმა მოიცვა. კიდევ გაისმა თოფის ხმა და სამუდამოთ მიყუჩდა.

ნაშუადღევის 2 საათზე მქრობელი რაზმი ცეცხლის ჩაქრობას შეუდგა. ჭერი ჩამოწვა ერთი ცეცხლის მქრობელი დაშავდა როდესაც ცეცხლი ჩააქრეს დაბლა ოთახში ორი დამწვარი გვამი იპოვნეს. ეტყობოდათ თავი თვითვე მოეკლათ. რწმუნებით ერთი მთავარი ორგანიზატორია ექსპროპრიაციისა, სახელად „ფრიცი“, ხოლო მეორე მისი ამხანაგი არა „მხატვარი“ პეტრე—არამედ ვინმე „იაკობი“, რომელიც მონაწილეობას იღებდა პოლიცილების მკვლელობაში

სტეინეის ქუჩაზე მომხდარ ბრძოლაში 1500 პოლიციელი და 100 ჯარის კაცი ორის ზარბაზნით იღებდა მონაწილეობას.



მოწერილი ამბები.

(პროვინცია)

ქუთაისი ამ დღეებში აქ შემაძრწუნებელი და მხეცური მკვლელობა მოხდა. ქუთაისის რკ. გზ სადგურის ტელეგრაფისტმა კოპაძემ მოჰკლა გემნაზიელი ლოსაბერიძე. მკვლელობა ასე მომხდარა: 29 დეკემბერს ღამის 2 საათზე გემნაზიელი ლოსაბერიძე ივანოვის ქუჩით სახლში ბრუნდებოდა, თან ახლდა რამდენიმე ქალი და კაცი ყველანი საზოგადო საკრებულოდან მიდიოდენ. გზაში ლოსაბერიძეს დაეწია კოპაძე, გაიყვანა განზე და სილა გააწნა ლოსაბერიძე გაიქცა, მაგრამ კოპაძე გამოუდგა, დაეწია და ჯიბის დანით ყელი გამოსჭრა. მკვლელი გამოიქცა, მაგრამ ჩქარა დაიჭირეს. დაბეჯითებით ამბობენ, რომ ამ მკვლელობაში მონაწილეობა მიიღო სტუდენტმა კირტავამ. მკვლელობის მიზეზათ შურისძიებას ასახელებენ.

საბრალო ლოსაბერიძე ერთად ერთი შვილი იყო ღარიბ დედ-მამის, რომლებიც ისე შეჰყურებდენ თავის ერთათ ერთ იმედს, როგორც ამომავალ მზეს. ყოველივე იმედი მასზე ქონდათ დამყარებული. ქალაქში ხმა გავრცელდა, რომ თითქო ამ საზარელმა ამბავმა ისე იმოქმედა უბედურ დედ-მამაზე, რომ ჭკუაზე შესცდენო. კოპაძე და კირტავა დაატუსაღეს.

თფილისი—ს. მთისპირელს. გული ნუ გაგიტყდებათ მით რომ თქვენი მოთხრობა „აჩრდილნი“ ძლიერ სუსტი ნაწარმოებია. შეიძლება ადამიანს ტალანტი ჰქონდეს, მაგრამ რაიმე მიზები უშლიდეს ხელს წაფრთა გააშლევინოს ამ ტალანტს. ჩვენის აზრით თქვენ მუყაითი უნდა იყოთ და წერის ხალისი გქონდეთ, მაგრამ საჭიროა მეტი ცოდნა; თუ კაცს ცოდნა არა აქვს, ის გამონაკლისს უნდა შეადგენდეს, რომ რაიმე ხელრიანი დასწეროს. დაანებეთ ჯერ წერას თავი, ისწავლეთ, განვითარდით და წერას მერმეც მოესწრებით.

—

ყვირილა—მინდიას. თქვე დალოცვილო, თუ იმას ფიქრობთ, რომ აქაო და დღეს ვინც არ გინდა პოეტი არის და ლექსებსა წერსო, ეს ვერ გამართლებსთ. იწვრებით ამისთანა ლექსებით მთელი ჩემოდანი სავსე მაქვსო. თუ ღმერთი გწამდეთ არ დაგვღუპოთ, აღარ ინებოთ იმ ჩემოდანის გაღება და კიდევ ლექსის გამოგზავნა.

—

ბათუმი—ფიჩხაძეს. თქვენი კორესპონდენცია მივიღეთ. იწერებით—«ეხლა ამ პატარა კორესპონდენციას გიგზავნით, შემდეგ მოთხრობებს და ლექსებსაც გამოგიგზავნითო“. სწორე გითხრათ ამ თქვენმა წერილმა ძალიან შეგვაშფოთა, ვაი თუ მართლა გამოგზავნოთ «რაღაც მოთხრობები და ლექსები“ თუ თქვენ გგონიათ, რომ თქვენი კორესპონდენცია, კორესპონდენცია არის და რაიმე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, რაღა იქნება თქვენი მოთხრობა და ლექსი?!! „მიხაილ ჯიბლაძეს ოთახის ქირა ვერ მივეცი და საბანი გამომიგდო ქუჩაში“-ო, ძალიან შემცდარა რომ კარგათ არ უცემნია თქვენთვის ის თუ აღარ იცით, რომ როცა სხვის სახლში დგებართ ქირა უნდა აძლიოთ, კორესპონდენციის დაწერა საიდან გეცოდინებათ? მოთხრობები და ლექსები ისევ თქვენთან დარჩეს.

—

ოზურგეთი—ნოკარს. რაშდენათ სამართლიანია თქვენი გულის წყრომა მოსე თალაკვაძის შესახებ, ამას ჩვენ ჩქარა გამოვარკვევთ. თუ მართლა თქვენ მან „სალამურ“-ის ნომრები წასაკითხად არ გათხოვათ, ძალიან კარგი უქნია, ამისთვის ის ქების ღირსია და არა გაკიცხვის. „სალამურს“ ჩვენ გასაკირავებლათ არ ვუგზავნით, ჩვენი ჟურნალი ცხენი, ან ჯორი არ არის, ეს თქვენ კარგათ უნდა იცოდეთ. რაც შეეხება თქვენი კორესპონდენციის მოეორე ნახევარს ვაჭარ ალმასხან კალანდაძის შესახებ, ვერც ამას ვბეჭდავთ, რადგან გადამეტებულათ მიგვაჩნია. ამაში თქვენი კორესპონდენციის პირველმა ნაწილმა დაგვაეჭვინა.

—

ფოთი—გაიოზს. ტყუილათ არ დაგითქმევიათ გუნიას „და ძმა“-ს გმირ გაიოზის სახელი. ერთობ რიხით და ზეიმით იწერებით წერილს. უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენს წერილს მეტის მეტი უტიფარი კილო აქვს. აქაო და „სახალხო გაზეთმა“ კორესპონდენცია არ დამისტამბაო, ამდგარხართ და ქუჩურათ ილანძღებით. თქვენი ბედი რომ „სახალხო გაზეთი“ ამას დასჯერებია და ლანძღვისთვის პასუხის გებაში არ მიუციხართ, ღმერთს მადლობა შესწირეთ და ჩუმათ იყავით.

—

ყველა კორესპონდენტებს—„სალამურის“ რედაქცია, გთხოვთ: 1) სწერეთ კორესპონდენციები იმ მოვლენების შესახებ, რომლებსაც ასე თუ ისე საზოგადო ხასიათი აქვს, 2) კორესპონდენცია დაწერილი იყოს ერთ გვერდზე, 3) ამბავს ნუ გააჭიანურებთ 4) ერიდეთ კერძო ინტერესებზე არ ააშენოთ თქვენი წერილი 5) გზავნეთ კორესპონდენციები სისტემატიურათ.

„სალამური“-ს რედაქციისთვის ფრიად საჭიროა ჰყავდეს მუდმივი პასუხისმგებელი კორესპონდენტები: ბაქოში, ერევანში, განჯაში, თელავში, სიღნაღში, გორში, მიხაილოვში, ყვირილაში, ჭიათურაში, სამტრედიაში, ხონში, ქუთაისში, ფოთში, ბათომში, ოზურგეთში, ხიდისთავში და ჩახატაურში. ვინც იკისრებს ამ საზოგადო მოღვაწეობას ნუ დაიყოვნებს და გვაცნობოს თავის ვინაობა, რომ დროზე გავუგზავნოთ საჭირო მოწმობა.

პირველ იანვრიდან გამოდის ეოველ-კვირეული სალიტერატურო ჟურნალი

სალამური

ჟურნალი ღლიურათ ღირს 5 მანეთი თვიურათ 50 კაპ. ცალკე ნომერი 10 კაპ.

დაიბეჭდება: მოთხრობები, ლექსები, ახალი ამბები, კორესპონდენციები და სხვა.

ხელის მოწერა **მხოლოთ თვიურათ მიიღება**. ვინც გამოგზავნის **ათ შაურს** ფულს ან ფოსტის მარკებს, მას გაეგზავნება **ხუთი** ნომერი.

კორესპოდენციები, სხვა წერილები და ფული ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს, Тифлисъ Типографія „Шрома“ Мухранская, № 12, Теофилу Эрастовичу Болквадзе, для саламури.

შენიშვნა—ბოდიშს ვიხდით, რომ სიჩქარის გამო ფურცლები აგვერია. მიაქციეთ ყურადღება ციფირებს.

ელექტრო-მბეჭდავი ამხ. „შრომა“ მუხრანის ქუჩა № 12. რედ.-გამომც. ნ. სულხანიშვილი.